ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს (2019) შესაბამისად მიღწეული იქნას განზოგადებული სწავლის შედეგები საბაზო საფეხურზე (მე-2 დონე)

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზისო ცოდნა და მისი გააზრება

უნარი

სწავლის სფეროში შესაბამისი საბაზო შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება.

ნაცნობი პრობლემის გადასაჭრელად სტანდარტული მეთოდების (ინსტრუმენტების) გამოყენება

ფაქტების, პროცესების, მასალების შესახებ საბაზო ინფორმაციის მოძიება, შერჩევა გაანალიზება, გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. არგუმენტირებული მსჯელობა შესაბამისი ფორმებისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

სტრუქტურირებულ, უცვლელ გარემოში დავალების შესრულება დამოუკიდებლად ან ხელმძღვანელობით. საკუთარ საქმიანობასა და სწავლაზე პასუხისმგებლობის აღიარება.

სრული საშუალო ზოგადი განათლება (მეოთხე დონე)

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა და გააზრება

უნარები

სწავლის ან საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, არაერთგვაროვანი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის ინფორმაციის მიღება, შერჩევა, კრიტიკულად გააზრება , შეფასება.

კომუნიკაცია თანმიმდევრული არგუმენტების მეშვეობით, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვის სახელმძღვანელო პრინციპებს, ტრადიციების გათვალისწინებით სასკოლო აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი პროფესიული შედეგების შეფასება და სწავლა.

დამატებითი მიზნები მესამე თაობის ე.ს.გ მიხედვით

ა) სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლება;

ბ) ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისთვის ;

გ) სკოლა იქცეს სივრცედ, რომელიც კარგი პიროვნებისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს;

გათვალისწინებულია, რომ

- მოსწავლე სწავლა-სწავლებ ის სუბიექტია;
- სწავლა ცოდნის კონსტრუირების პროცესია

საგანმანათლებლო პროცესში განხორციელდება შემდეგი პრინციპები

1. სწავლა-სწავლება ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგან გააქტიურებას
2. სწავლა-სწავლება ხელს უწყობს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სწავლა-სწავლება ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას;
4. სწავლა-სწავლება უზრუნველყოფს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
5. სწავლა-სწავლება მოიცავს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს (რა), პროცედურულს (როგორ), პირობისეულს (როდის).